ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2809898

ნომერი: AR1433307

თარიღი : 23.08.2016

გაცემის თარიღი : 05.09.2016

გაცნობის თარიღი : 05.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქიზიყის ქუჩა , N 14-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ნიკოლეიშვილი პ/ნ 01006012706
- ქ.თბილისი, ს.ცინცაძის 32, ბინა 20

ორგანიზაცია:
- იბეროილი კოდი: 406079586

ნომენკლატურა :

- ოფისი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2555474
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 5.04.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ადმინისტრაციული,საზოგადოებრივი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თორნიკე დათებაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "NDN group"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404994413

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს იბეროილი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406079586
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ ნიკოლეიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006012706

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 4605.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 253.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 526.4
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 318.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 24.6
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 17.3
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 10.9
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 155.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1883.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1324.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 558.9
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 10.15
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.45
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.7
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს

1. საჭიროა განაახლოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც მოხსნილი იქნება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება: საგანი ფართი 1193.00 მ2 (შეზღუდვა –დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე).
2. გაპის პირობის თანახმად წარმოდგენილ იქნას მავნე ნივთიერებების ემისიების ინვენტარიზაცია და დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას.
3. საპროექტო გენგეგმაზე და მიწისქვეშა და მიწისპირა სართულის გეგმებზე დაიტანეთ ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები და მათგან შენოიბამდე მინიმალური დაშორების მანძილები. გაითვალისწინეთ, ხე ნარგავების მოჭრის ან გადარგვის შემთხვევაში წარმოსადგენია თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურიდან.

4. თქვენს მიერ პანდუსზე მითითებული დახრის პროცენტი არ შეესაბამება გადამოწმების შედეგად მიღებულს. საჭიროა მოიყვანოთ ურთიერთ და ნორმებთან შესაბამისობაში (შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსის დახრა არ უნდა აღემატებოდეს 6%-ს).
5. გეგმებზე "1-5" ღერძებში მისათითებელია "მინაბლოკი" ფასადზე მითითებულის შესაბამისად.
6. გენგეგმაზე და ავტოსადგომის გეგმაზე დასატანია მანქანების მოძრაობის სქემა, საპროექტო ტერიტორიაზე შესვლა/გამოსვლის ჩვენებით. გაითვალისწინეთ, პარკირება უნდა განხორციელდეს ისეთი სახით, რომ არ იზღუდებოდეს მანქანების თავისუფალი გადაადგილება.
7. საპროექტო შენობის დასაშვები სიმაღლის ანგარიში უნდა მოახდინოთ აღმოსავლეთით მდებარე საზოგადოებრივი სივრციდანაც.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.